

2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის საქმეების სასამართლო მონიტორინგის ანგარიში



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
2021-2022



აქციებზე დაკვირვების ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში.

პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

სარჩევი

შესავალი	3
მეთოდოლოგია.....	5
1. 5 ივლისის საქმეებზე სასამართლოს სხდომების მიმდინარეობა.....	6
1.1. 5 ივლისის ძალადობასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის ეპიზოდები	6
1.2. სასამართლო და სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება.....	9
1.3. სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას გამოვლენილი სხვა პრობლემები.....	11
1.4. დაცვის მხარე და „დასავლეთის“ გავლენები	12
2. 5 ივლისის საქმეების არსებითი განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში	14
2.1. ორგანიზებული დანაშაული ორგანიზატორების გარეშე.....	14
2.2. სასულიერო პირები	18
2.3. გამოძიების პროცესში დაშვებული ხარვეზები, რომლებიც სასამართლო სხდომებზე გამოვლინდა.....	18
3. 5 ივლისის საქმეების სასამართლო განხილვების მტკიცებულებების გამოკვლევა.....	20
3.1. ამოცნობა	20
3.2. ექსპერტიზა და ვიდეომტკიცებულებები	24
4. 5 ივლისის საქმეების სასამართლო განაჩენები	25
ლექსო ლაშქარავას და მირანდა ბაღათურიას ეპიზოდი	26
ილია თვალთაშვილის, ვახო ქარელის, ზურაბ ცერცვაძის და თამარ თათარაშვილის ეპიზოდი (ე.წ. მოპედის ეპიზოდი).....	27
რატი წვერავას, თორნიკე მანდარიას, დეა მამისეიშვილის, დათუნა ახალაძის, დავით ქორიძის და სხვა დაზარალებულთა ეპიზოდები	28
ლამა ბრეგვაძის და ნინო ზაზაშვილის ეპიზოდი	29
„თბილისის პრაიდის“ ოფისში შეჭრის ეპიზოდი	29
დასკვნა/ძირითადი მიგნებები	30
სასამართლო.....	30
საქართველოს პროკურატურა.....	31
ადვოკატები	31

შესავალი

ანგარიშში წარმოდგენილია 2021 წლის 5 ივლისის ორგანიზებულ ძალადობაში მონაწილე პირების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვებზე დაკვირვების შედეგები. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ოთხი წელია იკვლევს საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე ჯგუფების¹ პროპაგანდისტულ ნარატივებს. ორგანიზაციას 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენებამდეც, არაერთი განცხადება, დოკუმენტი და ანგარიში აქვს გამოქვეყნებული საქართველოში მოქმედი ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების საქმიანობის შესახებ.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია ის ძირითადი ტენდენციები, რაც 2021 წლის 5 ივლისის ორგანიზებულ ძალადობასთან დაკავშირებით მიმდინარე ხუთ სისხლის სამართლის საქმეზე დაკვირვების პროცესში გამოვლინდა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შესავალშივე აღვნიშნოთ, რომ დოკუმენტი მიზნად არ ისახავს 5 ივლისის მასობრივ ძალადობასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმეების და დამდგარი განაჩენების შინაარსობრივ და სამართლებრივ ანალიზს, რადგან ჩვენი ორგანიზაცია განხილულ საქმეებზე არ წარმოადგენდა პროცესის მხარეს ან დაზარალებულს.

2022 წლის 3 თებერვალს, როდესაც ჯერ კიდევ არც ერთი საქმის სასამართლო განხილვა არ იყო დასრულებული, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა 5 ივლისის საქმეებზე დაკვირვების პირველადი ანგარიში² გამოაქვეყნა. ანგარიში მიმოიხილავდა პროცესის მხარეებისა და სასამართლოს დამოკიდებულებას სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპებისადმი. პირველადი დაკვირვების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ მოსამართლეები სასამართლო სხდომებზე სათანადო ყურადღებით არ გამოირჩეოდნენ, ყველა დაინტერესებული პირისათვის სხდომებზე დასწრების გონივრული შესაძლებლობა არ არსებობდა, პროცესის მონაწილის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენებისას, სასამართლოსა და ბრალდების მხარეს არ ჰქონდათ შესაბამისი რეაგირება, მოსამართლეებმა და ბრალდების მხარემ არ მიიღეს შესაბამისი ზომები, რომ დაზარალებულების, ექსპერტებისა და მოწმეების დაკითხვისას სხდომათა დარბაზში დამაშინებელი და დამაბული გარემო არ ყოფილიყო.

წინამდებარე ანგარიში სასამართლო პროცესების დასრულების შემდეგ შემუშავდა და შესაბამისად, განაჩენის და მოსამართლის მიერ ბრალდებულებისთვის მისჯილი სასჯელის პროპორციულობის შეფასების შესაძლებლობაც გვქონდა.

¹ „ჯგუფები, რომლებიც აღვივებენ ანტილიბერალურ და ანტიდასავლურ განწყობებს. გარდა ამისა, მათი რიტორიკა მკვეთრად ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ნაციონალისტურია“. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2020, „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმისა და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“, გვ. 5, ხელმისაწვდომია:

<https://www.democracypresearch.org/files/46dri%20report%20far%20right%20geo.pdf>

² დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2022 წლის 3 თებერვალი, „სასამართლო მონიტორინგის ანგარიში 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის საქმეებზე“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xUJjNv>

ამ დროისთვის, 5 ივლისის მასობრივ ძალადობაში ბრალდებული პირების საქმეების სასამართლო განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში დასრულებულია.³ საქართველოს პროკურატურამ ხუთივე საქმეზე გამოძიება 225-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) დაიწყო, თუმცა სასამართლოსთვის შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა არ უზრუნველყო. ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლომ მხოლოდ ერთ საქმეში - ლექსო ლაშქარავას, მირანდა ბაღათურიას და სხვა პირების მიმართ („სირცხვილიას ოფისის“ ეპიზოდი) ძალადობის ნაწილში დაადგინა. დანარჩენ ოთხ საქმეზე, მოსამართლეებმა ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის მუხლი უფრო მსუბუქ დანაშაულზე - ძალადობაზე გადააკვალიფიცირეს.

სამართალდამცავი სტრუქტურების უმოქმედობის გამო, მასობრივ ძალადობაში მონაწილე არაერთი პირი პასუხისმგებლობის გარეშე დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ 5 ივლისის დარბევის ამსახველი არაერთი საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო არსებობდა, სახელმწიფო ბრალდების მხარემ ვერ შეძლო „დაუდგენელი პირების“ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ბრალის წაყენება და მტკიცებულებების მოპოვება.

წინასწარ ორგანიზებული ჯგუფური ძალადობიდან 1 წელიწადზე მეტი გავიდა და ძალადობრივი დარბევის ორგანიზატორების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ისევ არ დამდგარა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებით, ძალადობრივი დაჯგუფების წევრების მიერ 5 ივლისის სისხლიანი დარბევის წინ გამოქვეყნებული საჯარო მოწოდებები ადასტურებს, რომ ძალადობრივი ჯგუფების მობილიზაციისთვის მზადება დარბევამდე გაცილებით ადრე დაიწყო⁴ და ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წინასწარ იყო ცნობილი. სასამართლო სხდომებზე მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე რამდენჯერმე გაიჟღერა ზურაბ მახარაძის, კონსტანტინე (კოკა) მორგოშისა და სხვა პირების, როგორც დარბევის ორგანიზატორების სახელებმა. სასამართლო პროცესებმა და დამდგარმა განაჩენებმა გაამყარა მოსაზრება, რომ ხელისუფლება ხელს აფარებს 5 ივლისის დარბევაზე პასუხისმგებელი ძალადობრივი ჯგუფების ლიდერებს: „ალტ-ინფოს“ გუნდს, გურამ ფალავანდიშვილს, ლევან ვასაძეს და სხვა ორგანიზატორებს, მათ შორის, სასულიერო პირებს.

³ 2022 წლის ივლისის მდგომარეობით. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ხელთ არსებული ინფორმაციით, მხარეები განაჩენების გასაჩივრებას გეგმავენ.

⁴ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ლიდერების მარშის წინააღმდეგ ძალადობა“, 2020 წლის 26 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/650/>

მეთოდოლოგია

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა 5 ივლისის საქმეების სასამართლო მონიტორინგის ანგარიში სასამართლო სხდომებზე დასწრების, საჯარო და მედია ორგანიზაციებიდან მოპოვებული ინფორმაციის და სამაგიდო კვლევის საფუძველზე მოამზადა. ანგარიში მოიცავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში მიმდინარე ხუთ საქმეზე დაკვირვების შედეგებს:

	საქმე	ბრალდებულები
1	ტელეკომპანიების „ფორმულას“, „ტვ პირველის“ და „მთავარის“ ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე ძალადობის ეპიზოდები	ზაზა მჭედლიძე, უშანგი დათუნაშვილი, გიორგი კახიანი, ილია ქებაძე, რომეო კეკუტია, თემურ ხარაული და გიორგი ნასყიდაშვილი
2	ლექსო ლაშქარავასა და მირანდა ბალათურიანზე ძალადობის, ასევე, „სირცხვილას“ ოფისთან ძალადობის ეპიზოდები	დავით კუტალაძე, თორნიკე დავლაშერიძე, აკაკი ნაკაშიძე, ოთარ გელაშვილი, გაი გუაშვილი და ცოტნე ჩიხლაძე
3	„ტაბულას“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტებზე ძალადობის და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ძალადობის ეპიზოდები	ზაზა ჭაავა, მურად დელვარიშვილი, გიორგი წარუაშვილი, გიორგი ხეჩუაშვილი, გიორგი მალრაძე, თედო ბურდული და გენადი გერმანიშვილი
4	9 აპრილის პარკში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ძალადობის ეპიზოდები	დავით ქოჩიაშვილი, თორნიკე გაბლიანი, ბაქარ მაისურაძე, მუხრან დადვანი, ნიკოლოზ გულედანი, ვანო ბურდული და ირაკლი წიგნაძე.
5	„თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრის ეპიზოდი	ალიკა ალაზოვი, გიორგი ოძელაშვილი და გიორგი ელიზბარაშვილი.

სასამართლო სხდომების მონიტორინგი 2021 წლის 3 ნოემბრიდან 2022 წლის 4 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა ზემოაღნიშნულ ხუთ საქმეზე. მონიტორინგის ფარგლებში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებელი 57 სასამართლო სხდომას დაესწრო. აქედან, 2 წარმოადგენდა წინასასამართლოს, 50 - არსებითი განხილვის, ხოლო 5 განაჩენის გამოცხადების სხდომას.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენელი მონიტორინგისას ხელმძღვანელობდა სპეციალური კითხვარით, რომლის საშუალებითაც სასამართლო პროცესებზე დაკვირვების ხანგრძლივობის, პროცესის მიმდინარეობის, განსახილველი საქმეების სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ზოგადი ინფორმაცია შეაგროვა. კერძოდ:

- სამართლიანი სასამართლოს უფლება და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა;
- ბრალდებულებისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა;
- სხდომების მიმდინარეობის (წინასასამართლო, არსებითი განხილვა, საპროცესო შეთანხმების სხდომების) მიმოხილვა;
- მოსამართლის, ბრალდებისა და დაცვის მხარის რეაგირებისა და პოზიციების შეფასება და სხვ.

წინამდებარე ანგარიშში სრულად არის მოცემული ბრალდებულების/მსჯავრდებულების და დაზარალებულების მაიდენტიფიცირებელი ის მონაცემები, რომლებიც დოკუმენტის შექმნამდეც საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციას წარმოადგენდა.

1 5 ივლისის საქმეებზე სასამართლოს სხდომების მიმდინარეობა

1.1. 5 ივლისის ძალადობასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის ეპიზოდები

5 ივლისის ძალადობის საქმეზე პირველი წინასასამართლო სხდომა 2021 წლის 21 ოქტომბერს ჩატარდა და სწორედ ამ, პირველივე სხდომაზე გაიყო საქმე ოთხ ე.წ. დამოუკიდებელ ეპიზოდად. 5 ივლისის ძალადობასთან დაკავშირებული ოთხი ეპიზოდიდან, რომელსაც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აკვირდებოდა, ბრალდებულებს (უშანგი დათუნაშვილის გარდა) აღკვეთის ღონისძიების სახედ განსაზღვრული პატიმრობა 9 თვის განმავლობაში არ შეცვლიათ.

რაც შეეხება მეხუთე საქმეს, „თბილისი პრაიდში“ შეჭრის ეპიზოდს, 2021 წლის 22 დეკემბერს მოსამართლე დავით მგელიაშვილმა ამ საქმეზე ბრალდებული სამი პირი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ბრალდებულებს წარდგენილი ჰქონდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დანაშაული, რაც ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნას და ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევას გულისხმობს. ბრალდებულებს გიორგი ელიზბარაშვილს, ალიკა ალაზოვს და გიორგი ოძელაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 5 000 ლარიანი გირაოთი შეეცვალათ. სა-

სამართლომ მოსალოდნელი საფრთხეების შეფასების ნაწილში ბრალდებულების პატიმრობაში ყოფნა მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

2022 წლის ივლისის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენები ხუთივე საქმეზე გამოაცხადა:

1. ტელეკომპანიების „ფორმულას“, „ტვ პირველის“ და „მთავარის“ ჟურნალისტიკებსა და ოპერატორებზე ძალადობის ეპიზოდები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა 4 აპრილს გამოაცხადა განაჩენი საქმეზე, რომელზეც ბრალდებულები იყვნენ ზაზა მჭედლიძე, უშანგი დათუნაშვილი, გიორგი კახიანი, ილია ქებაძე, რომეო კეკუტია, თემურ ხარაული და გიორგი ნასყიდაშვილი.

ბრალდებულებს ბრალის სახით წაყენებული ჰქონდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) მე-2 ნაწილი - ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა იარაღის გამოყენებით, 156-ე მუხლის (დევნა) მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - დევნა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, რომელსაც ახლავს ძალადობა და 154-ე მუხლი (ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა).

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა ბრალდებულები დამნაშავეებად ცნო ჯგუფურად ჩადენილ ძალადობაში. მოსამართლემ ბრალდებულების მიმართ წარდგენილი ბრალი ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის შესახებ ძალადობის მუხლზე გადააკვალიფიცირა. სასამართლომ ბრალდებულები ასევე დამნაშავედ ცნო დევნასა (ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლაში (ჩადენილი ძალადობის მუქარით).

2. ლექსო ლაშქარავასა და მირანდა ბალათურიძეზე ძალადობის, ასევე, „სირცხვილიას“ ოფისთან ძალადობის ეპიზოდები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ნინო ელიეშვილმა 4 აპრილს გამოაცხადა განაჩენი საქმეზე, რომელზეც ბრალდებულები იყვნენ დავით კუტალაძე, თორნიკე დავლაშერიძე, აკაკი ნაკაშიძე, ოთარ გელაშვილი, გია გიგუაშვილი და ცოტნე ჩიხლაძე.

ბრალდებულებს ბრალის სახით წარდგენილი ჰქონდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა), 156-ე მუხლის (დევნა) მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - დევნა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, რომელსაც ახლავს ძალადობა, 154-ე მუხლი (ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა), 118-ე მუხლის მესამე ნაწილი (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) დამამძიმებელი

გარემოებებით - სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული და ჯგუფურად და 117-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში - სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ჯგუფურად.

მოსამართლემ ბრალდებულები დამნაშავეებად ცნო ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობაში, ასევე, ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლაში, რაც ჩადენილი იყო ძალადობის მუქარით, დევნასა (ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებით. ცოტნე ჩიხლაძის თავდაპირველი ბრალი - დამამძიმებელ გარემოებებში (მსხვერპლის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ჯგუფურად) ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება იყო, რომელიც ძალადობის მუხლზე გადაკვალიფიცირდა.

3. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტიკაზე ძალადობის და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ძალადობის ეპიზოდები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანმა 4 აპრილს გამოაცხადა განაჩენი საქმეზე, რომელზეც ბრალდებულები იყვნენ ზაზა ჭავჭავაძე, მურად დელვარიშვილი, გიორგი წარუაშვილი, გიორგი ხეჩუაშვილი, გიორგი მაღრაძე, თედო ბურდული და გენადი გერმანიშვილი.

დაკავებულებს ბრალის სახით წარდგენილი ჰქონდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) - ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა იარაღის გამოყენებით, 156-ე მუხლის (დევნა) მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - დევნა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, რომელსაც ახლავს ძალადობა, 154-ე მუხლი (ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა).

მოსამართლემ ბრალდებულების მიმართ წარდგენილი ბრალი ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის შესახებ გადაკვალიფიცირა ძალადობის მუხლზე, რისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსი მაქსიმალურ სასჯელად 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლომ ბრალდებულები ასევე დამნაშავედ ცნო დევნასა (ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლაში (ჩადენილი ძალადობის მუქარით).

4. 9 აპრილის პარკში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ძალადობის ეპიზოდები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვალერიან ბუგაიანიშვილმა 6 აპრილს გამოაცხადა განაჩენი საქმეზე, რომელზეც ბრალდებულები იყვნენ დავით ქოჩიაშვილი, თორნიკე გაბლიანი, ბაქარ მაისურაძე, მუხრან დადვანი, ნიკოლოზ გულედანი, ვანო ბურდული და ირაკლი წიგნაძე.

დაკავებულებს ბრალის სახით წარდგენილი ჰქონდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) მე-2 ნაწილი - ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა იარაღის გამოყენებით, 156-ე მუხლის (დევნა) მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - დევნა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, რომელსაც ახლავს ძალადობა და 154-ე მუხლი (ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპიზოდში მონაწილეთაგან 154-ე მუხლი წარდგენილი არ ჰქონდა დავით ქოჩიაშვილს.

მოსამართლემ ბრალდებულების მიმართ წარდგენილი ბრალი ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის შესახებ გადააკვალიფიცირა ძალადობის მუხლზე და ბრალდებულები ჯგუფურად ჩადენილ ძალადობაში ცნო დამნაშავედ, რისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსი მაქსიმალურ სასჯელად 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლომ ბრალდებულები ასევე დამნაშავეებად ცნო დევნასა (ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლაში (ჩადენილი ძალადობის მუქარით).

5. „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრის ეპიზოდი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე დავით მგელიაშვილმა 4 ივლისს გამოაცხადა განაჩენი საქმეზე, რომელზეც ბრალდებულები იყვნენ ალიკა ალაზოვი, გიორგი ოძელაშვილი და გიორგი ელიზბარაშვილი.

მოსამართლემ ბრალდებულები სრულად გაამართლა ჯგუფური ძალადობაში მონაწილეობის, ასევე, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დევნის ბრალდებისგან (სსსკ-ის 225-ე მუხლის მეორე ნაწილი და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და დამნაშავედ ცნო მხოლოდ ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევაში ჯგუფურად ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (160-ე მუხლის მეორე ნაწილი და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). დადგენილი ბრალით სრულად გამორიცხა სიძულვილის მოტივი, რაც განაჩენის გამოცხადებისას არც გაჟღერებულა.

1.2. სასამართლო და სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება

2021 წლის 5 ივლისის მასობრივი ძალადობის საქმეებზე მონიტორინგის პროცესში ორგანიზაცია საქმის განმხილველ მოსამართლეს სხდომებზე დასწრების უფლების მოსაპოვებლად წერილობით აღარ მიმართავდა, რაც 2021 წლის დეკემბრამდე არსებული პრაქტიკისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.⁵ თუმცა, სასამართლოს წარმომადგენლები სხდომის დასწრებ-

⁵ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2022 წლის 3 თებერვალი, „სასამართლო მონიტორინგის ანგარიში 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის საქმეებზე“, გვ.11, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xUJjNv>

ამდე ისევ ადგენდნენ სხდომაზე დამსწრე პირთა ვინაობას. სასამართლო სხდომებზე დასწრება ისევ შეუძლებელი იყო სხდომის დაწყებამდე სასამართლოს წინასწარი ინფორმირების გარეშე.

მონიტორინგის დაწყებამდე დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა კითხვით, იყო თუ არა სასამართლო სხდომები საჯარო და არსებობდა თუ არა რაიმე ტიპის შეზღუდვა სასამართლო პროცესებზე დამკვირვებლების დასწრების თვალსაზრისით. სასამართლომ პასუხად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1-ელი დეკემბრის რეკომენდაციაზე მიგვითითა⁶, რომელიც კოვიდ 19 პანდემიის პირობებში სხდომაზე დასწრების შეზღუდვის წესს ეხება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციაზე დაყრდნობით, მოსამართლეები სხდომების საჯაროობისთვის ხელოვნურ ბარიერებს ქმნიდნენ, რაც ამცირებდა სასამართლოს ანგარიშვალდებულებას საზოგადოების მიმართ. 2021 წლის დეკემბრამდე მოსამართლეებმა ბლანკეტურ რეკომენდაციაზე მითითებით, სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება არაპროპორციულად და ხანგრძლივი პერიოდით გაუმართლებლად შეზღუდეს.

მონიტორინგის პროცესში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ არაერთი შეზღუდვის შემსუბუქება გამოიწვია. შესაბამისად, ორგანიზაციამ კიდევ ერთხელ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს კითხვით, არსებობდა თუ არა თბილისის საქალაქო სასამართლოში რაიმე ტიპის შეზღუდვა. 2022 წლის 12 აპრილის წერილით, სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებაზე მიგვითითა, „რომლითაც გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის სხდომის დარბაზში დამსწრე პირთა განთავსების თაობაზე“⁷. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა 2022 წლის 29 აპრილის დამაზუსტებელი წერილით მოითხოვა ინფორმაცია დეტალების შესახებ - თუ რა ტიპის ღონისძიებებს გულისხმობდა თბილისის საქალაქო სასამართლო. სასამართლომ⁸ მხოლოდ რამდენიმე ღონისძიებაზე მიგვითითა: რიგის მოწესრიგება, სარჩელების მიღების დარეგულირება და შენობაში მოქალაქეთა შემოსვლის მოწესრიგება. დანარჩენი ღონისძიებების შინაარსი ისევ გაურკვეველი დარჩა.

გასათვალისწინებელია, რომ მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, სასამართლო ისედაც იყენებდა ორმეტრიანი დისტანციის დაცვის და პირბადის სავალდებულოდ ტარების პრაქტიკას. შესაბამისად, სხდომაზე ფიზიკურად დამსწრე პირთა რაოდენობის შეზღუდვა და დამსწრეთა შერჩევა შეზღუდვის არათანაზომიერ საშუალებას წარმოადგენდა. მონიტორინგის მიზნით სასამართლო სხდომებს ესწრებოდნენ მასმედიის წარმომადგენლებიც.

აღსანიშნავია, რომ 4 აპრილს, განაჩენის გამოცხადების დღეს, მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანმა სასამართლო სხდომა ყველაზე მცირე ზომის სასამართლო დარბაზში ჩაატარა.

⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 20 ოქტომბრის წერილი N5122528.

⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 აპრილის წერილი N3-0638/5665967.

⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 3 მაისის წერილი N3-0644/5732817.

თავდაპირველად, მოსამართლის თანაშემწემ მხოლოდ ერთი მონიტორის დასწრება მოითხოვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სხდომაზე დასწრების მსურველ სამივე მონიტორს შეეძლო დარბაზში ფიზიკურად მოთავსება. მოსამართლის თანაშემწემ დარბაზში ჯერ ორი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი შეუშვა, შემდეგ მესამეც.⁹

იმავე სხდომაზე, სასამართლოს წარმომადგენელმა, რომელსაც სამოქალაქო ფორმა ეცვა და სავარაუდოდ, არ იყო მანდატური, „ტვ პირველის“ წარმომადგენლებს მოსთხოვა, მათ ნაწილს დარბაზი დაეტოვებინა, ვინაიდან მოსამართლე „წუხდებოდა ჟურნალისტების გასვლა-გამოსვლით“. ამ შენიშვნამ ჟურნალისტების პროტესტი გამოიწვია. ვინაიდან, თავად მოსამართლეს „წუხილი“ პირადად არ გამოუხატავს, მედიის წარმომადგენლები დარბაზში დარჩნენ.¹⁰

1.3. სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას გამოვლენილი სხვა პრობლემები

5 ივლისის ძალადობრივ დარბევასთან დაკავშირებული საქმეების სასამართლო განხილვის დროს ერთ-ერთი ბრალდებულის ნიკოლოზ გულედანის მხრიდან მოწმის მიმართ სექსუალური შევიწროების ფაქტი გამოვლინდა. სასამართლომ ერთი გაფრთხილების შემდეგ ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გააძევა.¹¹ სხვა სასამართლო შემადგენლობით საქმის განხილვისას ერთ-ერთმა ბრალდებულმა დაზარალებულ დეა მამისეიშვილს შესურაცხმყოფელი რეპლიკით მიმართა. მოსამართლემ ბრალდებულს წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა.¹²

ერთ შემთხვევაში, სასამართლო სხდომაზე მოსამართლე ნინო ელიეშვილმა ბრალდებულ კახიანთან დაკავშირებით, რომლის საქმეც სხვა მოსამართლესთან განიხილებოდა, ფაქტობრივი გარემოება შეაფასა - „კახიანი შემთხვევით მოხვდა მრგვალ ბაღთან, ვიღაც იგინებოდა და სცემა. დევნილის მოწმობის ასაღებად ჩამოვიდა, არადა.“¹³

რამდენიმე შემთხვევაში, პროცესის მონაწილის მიერ სხვის მიმართ გამოხატულ უპატივცემულობაზე მოსამართლეს სათანადო რეაგირება არ ჰქონია (შენიშვნა, გაფრთხილება წესრიგის დაცვის შესახებ და ა.შ). კერძოდ, დაზარალებულებისა და მოწმეების დაკითხვის პროცესში, ბრალდების მხარემ და მოსამართლემ რეაგირების გარეშე დატოვეს ბრალდებულებისა და ადვოკატების დამცინავი ქცევა და კომენტარები. სხდომების მიმდინარეობისას, განსაკუთრებით, მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე, პროცესები ხმაურიანად მიმდინარე-

⁹ 2022 წლის 4 აპრილის სასამართლო სხდომა (მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი).

¹⁰ 2022 წლის 18 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი).

¹¹ 2022 წლის 17 მარტის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ვალერიან ბუგაიანიშვილი).

¹² 2022 წლის 11 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

¹³ 2022 წლის 17 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

ეობდა. მაგალითად, მოსამართლე ნ. ჩახნაშვილს თითქმის ყველა შემთხვევაში უჭირდა დარბაზში წესრიგის შენარჩუნება.

2022 წლის 22 თებერვალს დაზარალებულ ჟურნალისტს რატი წვერავას¹⁴ ერთ-ერთმა ბრალდებულმა მუქარის შემცველი განცხადებით მიმართა, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა ძალადობაში მონაწილეებს „არაკაცები“ უწოდა. „გამომიშვით, მიმიშვით და კიდევ მომეცით 6 წელი“; „ესეთი ხალხის გამო ვზივარ აქ“; „ასეთ ვიგინდარას შემოარტყამ და მერე ვზივარ ციხეში“. ამავე სხდომაზე დაცვის მხარის ადვოკატებმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს, რადგან მოსამართლემ დაზარალებულ ჟურნალისტს დაცვის მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პასუხისმგებლობა არ დააკისრა. ადვოკატები შემდეგ სხდომებზე დარბაზში დაბრუნდნენ.

1.4. დაცვის მხარე და „დასავლეთის“ გავლენები

სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას დაცვის მხარე სასამართლო მართლმსაჯულებაზე კოლექტიური „დასავლეთის,“ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების გავლენებზე საუბრობდა.

„ეს არ არის ჩვეულებრივი საქმე და სასამართლო მართლმსაჯულების აღსრულებაში დიდი ზეწოლაა, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან“¹⁵ - განაცხადა თორნიკე დავლათაშვილის ადვოკატმა გელა ძამამიამ.

დაცვის მხარის რამდენიმე წარმომადგენელმა რუსული პოლიტიკის მხარდამჭერი პოზიციებიც გააჟღერა. კრემლის პოლიტიკის მხარდამჭერის და ადვოკატის ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, „რუსეთთან ან ომით ან დიალოგით მოხდება ტერიტორიების დაბრუნება“.¹⁶

5 ივლისის ძალადობრივ მოვლენებში ბრალდებული პირების ადვოკატები რელიგიურ სენტიმენტებს იყენებდნენ მოწმეებისა და დაზარალებულების დაკითხვისას. მაგალითად, ადვოკატი ნიკოლოზ მჟავანაძემ რამდენჯერმე ჰკითხა ონლაინ მედია პლატფორმა „ტაბულას“ დაზარალებულ ჟურნალისტს მ.ჯ.-ს, როგორი განწყობა ჰქონდა საქართველოს პარლამენტის წინ აღმართული ჯვრის მიმართ.

ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი ონლაინ მედია პლატფორმა „ტაბულას“ რედაქტორს ლევან სუთიძეს „ვითომ თეოლოგს“ უწოდებდა, „ლგბტ ხალხს მხარდაჭერას უცხადებს და საპატრიარქოს ლანძღავსო“ ამბობდა. ზაქარეიშვილმა მ.ჯ.-ს გამოუცხადა, რომ ის არ არის პროფესიონალი ჟურნალისტი და „აზრზე არ არის“ რა არის ობიექტური გაშუქება. ადვოკატმა

¹⁴ 2021 წლის 5 ივლისს, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ჟურნალისტ რატი წვერავას მიმართ განხორციელებული სასტიკი ძალადობის კადრები საჯაროდაც არის ხელმისაწვდომი. თუმცა, აღნიშნულ ეპიზოდში ამ დრომდე მხოლოდ ერთი პირია დაკავებული.

¹⁵ 2022 წლის 30 მარტის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

¹⁶ 2022 წლის 25 მარტის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი).

შორენა კობიძემ „რუსთავი 2-ის“ დაზარალებულ ჟურნალისტს ს.ბ.-ს ჰკითხა: „იყო თუ არა მის სიუჟეტებში ანტი-რელიგიური ან ანტი-საპატრიარქოსეული შინაარსი“.¹⁷

პროკურორებს ხშირ შემთხვევაში მსგავსი შინაარსის კითხვები არ განურიდებიათ.

დაცვის მხარის სტრატეგია ჟურნალისტების მიმართ (სახელისუფლებო და პრორუსული მედიების წარმომადგენლების გარდა) უმეტესწილად აგრესიაზე იყო აგებული. ბრალდებულების ადვოკატები მოწმეებსა და დაზარალებულებს ძირითადად შეურაცხმყოფელი კითხვებით მიმართავდნენ, ჟურნალისტებს პროვოკატორებს უწოდებდნენ და პასუხისმგებლობის დაზარალებულებზე გადატანას ცდილობდნენ. ადვოკატი ონისე მარგინი მოწმეებს აგრესიულად და თითქმის ყვირილით ესაუბრებოდა.¹⁸ ადვოკატმა შორენა კობიძემ დაზარალებულ ჟურნალისტს ა.ფ.-ს აგრესიული ტონით მიმართა: „თქვენ ტელევიზიაში ხომ არ გგონიათ თავი?“¹⁹ დამატებით საუბარი შედგა ასევე, დაზარალებულ ჟურნალისტ ლ.გ.-სა და ადვოკატ ვარლამ მაჭარაშვილს შორის.²⁰

სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას ადვოკატი დავით მოდებაძე გამოირჩეოდა ჰომოფობიური შინაარსის რეპლიკებით, როგორებიცაა: „ელგებეტე თემი თუ ტომი; ღირსეული მარში თუ რაღაც“; „საგარეჯო ხომ კახეთს ეკუთვნის და თქვი მერე რა ჰქვია [ლგბტ] თემს“ - მიმართა მოწმეს.²¹

ადვოკატმა ანა ჟღენტმა განაცხადა, რომ „2016 წლიდან ჩატარებული თუ ჩაუტარებელი პრაიდების ხალხს იცავს, ლგბტ დროშა კი სიმბოლო არ არის, რადგან არ არის რეგისტრირებული.“ [...] „ჯანსაღ ადამიანებზე მეტად ლგბტ ადამიანები არიან ევროპაში და გიორგი მალრადე [მისი დაცვის ქვეშ მყოფი] იქ ცხოვრობდა“.²²

„თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრის ეპიზოდში მოწმე მ.ჩ.-მ განაცხადა, რომ სწორედ მათი საქმიანობის გამო გახდნენ თავდასხმის ობიექტები, რასაც ადვოკატებისა და ბრალდებულების მხრიდან სიცილი მოჰყვა.

¹⁷ 2022 წლის 17 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

¹⁸ 2022 წლის 9 თებერვლის სასამართლო სხდომა, შსს-ს გამომძიებლის თ.ბ-ს დაკითხვა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

¹⁹ 2022 წლის 11 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

²⁰ 2022 წლის 11 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

²¹ 2022 წლის 11 მარტის სასამართლო სხდომა (მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი).

²² 2022 წლის 1 აპრილის სასამართლო სხდომა (მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი).

დაკითხვისას, ადვოკატმა ანა ჟღენტმა მოწმეს შემდეგი კითხვები დაუსვა:

- „თქვენ როგორც იურიდიულ პირს დარეგისტრირებული გაქვთ ცისარტყელას დროშა, როგორც სიმბოლო?“
- „თქვენი დაფინანსება ამ აქციის შემდეგ გაიზარდა?“
- „თქვენ დადიხართ საყურით?“
- „ზოგადად, რა გაცვიათ ხოლმე?“
- „თქვენს გენდერულ იდენტობას ხომ არ შეურაცხყოფს შავები როცა გაცვიათ?“
- „ამდენი წელია თქვენი ორგანიზაცია ცდილობს მსვლელობის ჩატარებას, ხომ ხედავთ საფრთხეში იგდებთ თავს და საფრთხის შემცველია, აქედან გამომდინარე, მომხდარზე პასუხისმგებლობას იღებთ საკუთარ თავზე?“

ამ შეკითხვებიდან ბრალდების მხარემ მხოლოდ ბოლო კითხვა განარიდა.²³

2 5 ივლისის საქმიანობის არსებითი განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში

2.1. ორგანიზებული დანაშაული ორგანიზატორების გარეშე

საქართველოს პროკურატურამ 2021 წლის 5 ივლისის საქმის ხუთივე ეპიზოდზე ბრალდებულებს ბრალად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში (ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ან მათზე თავდასხმა) მონაწილეობა წაუყენა.

იმის გასარკვევად, მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება 5-6 ივლისის ძალადობრივი მოვლენების ორგანიზატორი პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს გენერალურ პროკურატურას კითხვით მიმართა.²⁴ პროკურატურიდან მიღებულ პასუხში მითითებულია,²⁵ რომ 2021 წლის 5 ივლისს რუსთაველის გამზირზე და მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ ძალადობრივ ფაქტებთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურაში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ჯგუფური დანაშაულის ორგანიზების და მასში მონაწილეობის (225-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით), ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდების

²³ 2022 წლის 14 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე დავით მგელიაშვილი).

²⁴ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 16 მაისის წერილი N13/29616.

²⁵ DRI-ს 2022 წლის 7 აპრილის წერილი N20220704-321.

(239¹ მუხლის პირველი ნაწილი), დევნის და ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის (156-ე და 154-ე მუხლებით) საფუძვლებით მიმდინარეობს.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მონიტორის დაკვირვებით, სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე არაერთი მტკიცებულება ადასტურებდა საქმეებში ორგანიზატორის/ხელმძღვანელის არსებობას. 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების სავარაუდო ორგანიზატორების არსებობა სასამართლოს წინაშე დაკითხულმა მოწმეებმაც დაადასტურეს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტიკის ა.ფ.-ს ჩვენების მიხედვით, საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ, ინგოროყვას ქუჩაზე შეესწრო ძალადობრივი ჯგუფის წევრების საუბარს, რა დროსაც განიხილავდნენ - ვინ დაერბიათ და როგორ, შეჭრილიყვნენ თუ არა შენობაში (მოწმემ, სავარაუდოდ, იგულისხმა „სირცხვილიას“ ოფისი).²⁶ „ტაბულას“ ჟურნალისტმა მ.ჯ.-მ განაცხადა, რომ აქციის მონაწილეებმა ზურა მახარაძის მოწოდების შემდეგ პარლამენტისკენ გადაინაცვლეს. ქაშვეთის ეკლესიასთან სიმშვიდე იყო, თუმცა უკვე რუსთაველის გამზირზე გადმოსულ ადამიანებს სასულიერო პირები მოუწოდებდნენ ძალადობისკენ.²⁷ „მთავარი არხის“ დაზარალებულმა ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ აქციის მონაწილეები ისროდნენ კვერცხებსაც, რომელიც წინასწარ დამალული ჰქონდათ. შესაბამისად, მოწმემ მიიჩნია, რომ ისინი ძალადობისთვის წინასწარ ემზადებოდნენ. ბრალდების და დაცვის მხარეს ამ მიმართულებით დამატებითი და დამაზუსტებელი კითხვები აღარ დაუსვამს.²⁸

სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას ბრალდების მხარემ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ონლაინ მედია „პუბლიკას“ ორი სიუჟეტი - „5 ივლისის ორგანიზება“²⁹ და „სირცხვილიას“ ოფისსა და ლექსო ლაშქარავაზე თავდასხმის ქრონოლოგია³⁰.

„5 ივლისის ორგანიზება“ ასახავს „ალტ-ინფოს“ წევრების მიერ საკუთარი არხის ეთერით დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდებას და ძალადობისკენ წაქეზებას. სიუჟეტში ყურადღება გამახვილებულია „ალტ-ინფოს“ ლიდერის ზურა მახარაძის მოწოდებებზე, რომელიც ძალადობრივი მოვლენების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორია. ვიდეო ორი ნაწილისგან შეგდება: ნაწილი I – ორგანიზება და ნაწილი II – 5 ივლისს მომხდარი რამდენიმე ეპიზოდი. მეორე ნაწილში თავმოყრილია 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების რამდენიმე ეპიზოდი: კარვების დარბევა, „სირცხვილიას“ ოფისზე თავდასხმისკენ მოწოდება, „თბილისის პრაიდის“ ოფისის დარბევა და ჟურნალისტ რატი წვერავაზე თავდასხმა. ვიდეოში ასევე გამოყენებულია

²⁶ 2022 წლის 11 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

²⁷ 2022 წლის 25 იანვრის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი).

²⁸ 2022 წლის 11 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

²⁹ ხელმისაწვდომია <https://publika.ge/video/5-ivlisis-organizeba/>, ბოლოს ნანახია 16 აგვისტო, 2022

³⁰ ხელმისაწვდომია <https://publika.ge/video/sirckhvili-as-ofissa-da-leqso-lashqaravaze-tavdashkmis-gronologia/> (ბოლოს ნანახია 16 აგვისტო, 2022).

5 ივლისს ჰომოფობიური და ძალადობრივი აქციის მონაწილე სხვადასხვა პირების ფეისბუქ-ლაივში გასული კადრები.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ ზემოაღნიშნული სიუჟეტები ბრალდებულების ორგანიზებულ დანაშაულში სავარაუდო მონაწილეობის დადასტურების მიზნით წარმოადგინა, აღნიშნული მტკიცებულებებით დანაშაულის ორგანიზატორი პირების იდენტიფიცირებაც იყო შესაძლებელი.

საგულისხმოა, რომ 5 ივლისის საქმეებზე მიღებულ განაჩენებს შორის მხოლოდ ლაშქარავას და ბლათურას ეპიზოდში დადგინდა ექვსივე მსჯავრდებულის მიმართ ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობა.

ყურადღებას იქცევს 4 და 8 აპრილის განაჩენების სამოტივაციო ნაწილში მოსამართლეთა მსჯელობა ორგანიზებულ დანაშაულში ხელმძღვანელების არსებობის შესახებ.

მოსამართლე ნინო ელიეშვილის მიერ 2022 წლის 4 აპრილს მიღებული განაჩენის სამართლებრივი შეფასების ნაწილში ხაზგასმულია, რომ „სწორედ „თბილისი პრაიდის“ აქციის მონაწილეთა საწინააღმდეგოდ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით, ორგანიზებულ იქნა ჯგუფური ძალადობა, [...] აქციის მონაწილეთა მხრიდან იყო ჰომოფობიური და ტრანსფობიური მოწოდებები, მათი დევნის, ფიზიკური ანგარიშ-სწორების და ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, რაც ბრალდებულების და მათი სხვა თანამზრახველი პირების მიერ სისრულეში იქნა მოყვანილი“.³¹

მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა ონლაინ გამოცემა „პუბლიკას“ მიერ მომზადებულ სიუჟეტზე, რომელშიც „ნათლად ჩანს 2021 წლის 5 ივლისამდე განვითარებული მოვლენები, სხვადასხვა პირთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მოქმედებები 5 ივლისს განსავითარებელ მოვლენებთან და დასაგეგმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, [...] შემდგომი მოვლენები 5 ივლისს განვითარდა ისე, როგორც მანამდე იყო ახსნილი სიუჟეტში.“³² გამამტყუნებელი განაჩენის მიხედვით, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ ვიდეო ჩანაწერში ნათლად ისმის და ეს ასახულია ასევე სიუჟეტშიც, რომ „სირცხვილიას“ ოფისისკენ რამდენიმე ასეული ადამიანი უნდა წავიდეს, რადგან იქ შეკრებილი არიან „ლგბტ“ თემის წარმომადგენლები და მათი დამცველები.

მოსამართლე ნინო ელიეშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულების და მოწმეების ჩვენებებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე შესაძლებელი იყო სიუჟეტში ასახული პირების იდენტიფიცირება, მხოლოდ ორგანიზატორების არსებობის შესახებ მიუთითა.

³¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2022 წლის 4 აპრილის განაჩენი, (მოსამართლე ნინო ელიეშვილი), გვ. 38.

³² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2022 წლის 4 აპრილის განაჩენი, (მოსამართლე ნინო ელიეშვილი), გვ. 39.

განსხვავებული სამართლებრივი შეფასება გააკეთა მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა. მისი განმარტებით, სსკ-ის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მხრივ, ადგილი აქვს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას და მეორე მხრივ, კონკრეტული პირის მონაწილეობას ამ ქმედებაში.³³ სასამართლოს თქმით, ბრალდების მხარემ ვერ დაასაბუთა ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ფაქტი, რაც გულისხმობს ორგანიზატორის, ორგანიზებული ქმედებების, როლების განაწილების, მითითებების მიცემის მტკიცებას. სასამართლომ დაინახა და გაირკვა პირთა სახელები და გვარები, თუმცა იმ პირობებში, როდესაც „არცერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია ბრალდების მხარეს იმის სამტკიცებლად, რომ ბრალდებულები სტრუქტურულად და მყარად ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეები იყვნენ“, ³⁴ სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულების ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეობა არცერთი მტკიცებულებით არ დადგინდა.

მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანის შეფასებით, ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა და მასში მონაწილეობა შეუძლებელია განხორციელდეს წინასწარი შეთანხმებისა და კონკრეტული ჯგუფის მიერ ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის, ორგანიზატორის ან ხელმძღვანელი პირის (პირების) და მითითების შემსრულებელი ადამიანების არსებობის გარეშე. მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანის სამართლებრივი შეფასება მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის დასაბუთების თითქმის იდენტურია.³⁵

მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილის განმარტება ზევით მოხსენიებული ორი მოსამართლის შეფასებისგან არ განსხვავდება. დამატებით, მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა აღნიშნა, რომ ბრალდებულები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან იყვნენ და ერთმანეთს არ იცნობდნენ. ასევე, მისი თქმით, არ დადასტურდა, რომ ბრალდებულებმა ერთობლივად, ან რომელიმე მათგანმა დააორგანიზა ჯგუფური ძალადობა. განაჩენის მიხედვით, საქმეში გამოკვლეული მტკიცებულებებით, ბრალდებულების მიერ ჩადენილი ქმედებების მიმართ არ დადგინდა ორგანიზატორის ან ხელმძღვანელის არსებობა.³⁶

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის“.

³³ 2022 წლის 4 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, (მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი), გვ. 48.

³⁴ იქვე, გვ. 49.

³⁵ 2022 წლის 4 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი, გვ. 53.

³⁶ იქვე, გვ. 31-32.

2.2. სასულიერო პირები

არაერთი საჯარო ინფორმაციით გაიჟღერა, რომ 5 ივლისის მასობრივი ძალადობის მონაწილეები და ორგანიზატორები სასულიერო პირებიც იყვნენ. სასამართლო მონიტორინგისა, მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ძალადობაში მონაწილეობას რამდენიმე მტკიცებულება ადასტურებდა.

„რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტმა, დაზარალებულმა ს.ბ.-მ დაკითხვისას განაცხადა, რომ იგი ოპერატორებზე ძალადობას შეესწრო, რა დროსაც გაიგონა ფრაზა: „რას აკეთებ მამაო?“. ჟურნალისტმა პროკურორის მიერ დასმულ შეკითხვას - „რაიმე ტიპის მოწოდება ხომ არ გაუგია?“ უპასუხა, რომ გაიგონა მამა შალვა კეკელიას მიმართვა: რომ ისინი [მოდალადეები] „ყველგან გაუწევდნენ წინააღმდეგობას“, რათა იქ პრაიდის ხალხს ვერ გაეველო. ჟურნალისტის თქმით, აქციის მონაწილეებმა იცოდნენ მისი ვინაობა და ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონზე მის მიერ მომზადებული სიუჟეტიც გაახსენეს. ს.ბ. შოთა სიკინჭილაშვილის, ბექა თაბუკაშვილის და ზურაბ მაჭარაძის ცემას შეესწრო.³⁷

„მთავარი არხის“ ოპერატორის თქმით, მას ახსოვს ამ ინციდენტების დროს სასულიერო პირიც, რომელიც მისი კამერის მაშუქს (ე.წ. ვსპიშკას) მიათრევდა.³⁸ დაზარალებული ადასტურებს, რომ ამის ამსახველი ვიდეო კადრები არსებობს და მას თავადაც აქვს.³⁹

ბრალდების მხარეს, ისევე, როგორც ზურა მაჭარაძის, კონსტანტინე მორგოშიას და სხვ. პირების შემთხვევაში, სასულიერო პირების მიერ დანაშაულის ორგანიზების/ ხელმძღვანელობის და მონაწილეობის შესახებ პოზიცია არ გამოუხატავს.

2.3. გამომძიების პროცესში დაშვებული ხარვეზები, რომლებიც სასამართლო სხდომებზე გამოვლინდა

მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, როგორც მოწმეთა ჩვენებებით, ასევე, დაცვის მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების საფუძველზე, გამოვლინდა 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების გამომძიების ეტაპზე დაშვებული ხარვეზები. ქვევით მოცემულია ამ დარღვევების საილუსტრაციო ჩამონათვალი.

იმ ფაქტმა, რომ ბრალდების მხარემ დაზარალებული ილია თვალთვალისთვის ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოში არ წარადგინა, გავლენა იქონია და შეცვალა მოძალა-

³⁷ 2022 წლის 17 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

³⁸ 2022 წლის 10 მარტის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი).

³⁹ მის ჩვენებას მოჰყვა ადვოკატ ნიკოლოზ მყავანაძის რეპლიკა „ძალადობის მსხვერპლია ახლა ეს? ასე შეურაცხყოფილად თუ იგრძენით თავი რატომ არ მოძებნეთ ვინ მოგაყენათ შეურაცხყოფა?“ ირაკლი ზაქარეიშვილმა ჰკითხა: „გაქვთ თუ არა კავშირი ნაციონალურ მოძრაობასთან?“ ბრალდების მხარემ კითხვა გააპროტესტა. მოსამართლემ განარიდა კითხვა და განაცხადა, რომ სასამართლო დარბაზში პოლიტიკურ განცხადებები არ უნდა გაკეთდეს.

დისთვის კვალიფიკაციის განსაზღვრის ნაწილი და სასჯელი არსებითად შემცირდა. წარდგენილი სსსკ-ის 117-ე მუხლის მეხამე ნაწილის „ა“ და მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი გადაკვალიფიცირდა 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტად.⁴⁰

მტკიცებულებების გამოკვლევის დროს გამოიკვეთა, რომ ბრალდების მხარეს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში „შსს“) გამომძიებელი მ.ბ. დასაკითხ პირთა ნუსხაში შეყვანილი არ ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ მას დაზარალებულების გამოკითხვისა და ნივთმტკიცებულებების ამოღების ოქმების შედგენაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.⁴¹ საბოლოო ჯამში, მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა გამომძიებლის მოწმედ დაკითხვის შესახებ.

„მთავარი არხის“ ჟურნალისტის დაზარალებულ ლ.გ-ს თქმით, მას და მის ოპერატორს „სირცხვილიას“ ოფისთან თავს დაესხნენ. მიუხედავად იმისა, რომ მთავარ არხს ჰქონდა ვიდეო კადრები რაც მათი ცემის ფაქტს დაადასტურებდა, შსს-ს „მთავარი არხიდან“ ჩანაწერები არ მოუთხოვია.⁴²

მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ „თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევის შესახებ 5 ივლისის დღეს და 5 ივლისამდე მიღებული მუქარების თაობაზე, შსს ინფორმირებული იყო ოფისის წარმომადგენლის მიერ.⁴³

დაზარალებულმა დ.მ.-მ დაკითხვისას ხაზი გაუსვა, რომ მის მიმართ შეფურთხებისა და მაისურის შემოხვევის ეპიზოდში მონაწილე პირები შსს-ს არ დაუკავებია. დაზარალებულის თქმით, ისინი მედია საშუალებების მიერ საჯაროდ გავრცელებულ ვიდეო ჩანაწერებშიც ჩანდნენ.⁴⁴ დ.მ.-ს განცხადებით, მოძალადეებს ჟურნალისტების დასჯა უნდოდათ.

ოთხივე სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ ბრალდების მხარეს ვიდეოჩანაწერებზე ჰაბიოსკოპია (პირის გარე ნიშნების ექსპერტიზა) ჩატარებული არ ჰქონდა.⁴⁵ ბრალდების მხარის თქმით, ვიდეო მტკიცებულებებზე ჰაბიოსკოპიის ჩატარების საჭიროება არ იყო.

⁴⁰ 2022 წლის 24 მაისის საკანონმდებლო ცვლილებით N1580, 117-ე მუხლში დამამძიებელი გარემოებების ნუმერაცია შეიცვალა. სსსკ-ის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ჯგუფურად“ ჩადენილი დანაშაული მოქმედი რედაქციით, წარმოადგენს იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შინაარსს.

⁴¹ 2022 წლის 18 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი).

⁴² 2022 წლის 11 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

⁴³ 2022 წლის 21 იანვრის სასამართლო სხდომა (მოსამართლე დავით მგელიაშვილი).

⁴⁴ 2022 წლის 25 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი).

⁴⁵ 2022 წლის 1 აპრილის სასამართლო სხდომაზე (მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი), ბრალდებულ გიორგი მადრაძის ადვოკატმა ჰაბიოსკოპიური ექსპერტიზის არარსებობას ხაზი გაუსვა.

5 ივლისის ძალადობრივ დარბევებთან დაკავშირებულ სასამართლო განხილვებს აქტიურად აშუქებდა მედია მაუწყებლობა „ალტ-ინფო“. „ალტ-ინფოს“ მიერ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა მოწმეებს და დაზარალებულებს არ შეეძლოთ ბრალდებულების ამოცნობა.⁴⁶ თუმცა, სასამართლოში გამოკვლეული არაერთი მტკიცებულება ადასტურებდა არა მხოლოდ ბრალდებულების, არამედ სხვა, გამოძიების მიერ არაიდენტიფიცირებული პირების დანაშაულში მონაწილეობას.

თითქმის ყველა სასამართლო სხდომაზე, მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე იმაზე მეტი მოძალადე პირი გამოიკვეთა, ვიდრე საქართველოს პროკურატურამ მისცა პასუხისგებაში. საქართველოს პროკურატურა აცხადებდა, რომ ისინი მათთვის დაუდგენელი პირები იყვნენ. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ქვევით მოცემულია მტკიცებულებების დიდი ნაწილის აღწერილობითი ჩამონათვალი.

3.1. ამოცნობა

5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების დროს ერთ-ერთი სამიზნე სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისი იყო. სწორედ „სირცხვილიას“ ოფისთან მიიღო დაზიანებები „ტვ პირველის ოპერატორმა ალექსანდრე (ლექსო) ლაშქარავამ.

5 ივლისის მოვლენების დროს ბრალდებულები ძალადობისას ძირითადად ხელკეტებს იყენებდნენ. „სირცხვილიას ოფისის“ ეპიზოდში 53 მოწმე დაიკითხა. „სირცხვილიას“ ოფისში შეჭრის თვითმხილველები დაზარალებულები გ.ბ. და მირანდა ბალათურია იყვნენ. გ.ბ.-ის განცხადებით, შენობაში შესასვლელი კარი ღია არასდროს რჩებოდა, კარის გაღებისთვის ნებართვა ან „ჩიპი“ იყო საჭირო. მირანდა ბალათურიამ მესამე სართულზე 15-მდე ადამიანი შეამჩნია. ლექსო ლაშქარავას მიერ გადაღებულ 47 წამიან ვიდეო ჩანაწერში 5-ვე ბრალდებული ვიზუალურად, ხოლო დავით კუტალაძე ხმით იდენტიფიცირ-დებოდა. პროკურორის განცხადებით, 47 წამიან ვიდეო ჩანაწერში ისმის გინება და ჩანს მცდელობა, ლექსო ლაშქარავას გადაღების საშუალება არ მისცემოდა. ბრალდების მხარის პოზიციით, ვიდეოკამერა და შტატტივი ნაწილებად დაშალეს, რათა სამხილი არ დარჩენილიყო.

მირანდა ბალათურიას თქმით, აკაკი ნაკაშიძემ ხელი აიქნია ვიდეოკამერის მიმართულებით; ამის შემდეგ ლექსო კიბეების მოაჯირთან გადაათრიეს. მერე დეტალურად ვეღარ დაინახა,

⁴⁶ მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2022 წლის 12 თებერვლის მედია მონიტორინგი.

რადგან ლექსო ლაშქარაშვილზე ათობით ადამიანი ძალადობდა. მირანდას შეფასებით, თვალის დაზიანება მიზანმიმართულად ხდებოდა, რადგან თვალი ოპერატორისთვის „სამსახურებრივი იარაღი“ იყო.

გ.ბ. დავით კუტალაძის მიერ „სირცხვილიას“ ოფისის შენობის კარის შემტვერვის თვითმხილველი იყო. მას ფერადი ტანსაცმლის გამო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. დაზარალებულის განცხადებით, მოძალადეები კიბეებისკენ ჯგუფურად დაიძრნენ. ამავე ეპიზოდთან დაკავშირებით, ჟურნალისტმა ლ.ა.-მ განაცხადა, რომ როცა ლიფტის კარი გაიღო, აგრესიულად განწყობილი მამაკაცები დაინახა. მან მოასწრო ლიფტის ღილაკზე დაჭერა და მეორე სართულზე ასვლა. შს-ს თანამშრომელმა ტ.ბ.-მ დაინახა დაზიანებული კარი და ექსპერტ კრიმინალისტებთან ერთად დასათვალისწინებლად მივიდა. მისი განცხადებით, მესამე სართულზე, ლექსო ლაშქარაშვილსა და მირანდა ბაღათურიაზე ძალადობის შემდეგ ტერიტორია სისხლით იყო მოსვრილი.

სექსუალური ორიენტაციის/გენდერული ნიშნით დავით ქოჩიაშვილი თავს დაესხა ნინო ზაზაშვილს (ფეხი ჩაარტყა ზურგის და წელის არეში), როდესაც დაზარალებული ლგბტქ+ დროშის გაშლას ცდილობდა. ბრალდებულები - გაბლიანი, დადვანი და მაისურამე თავს დაესხნენ ორ ჟურნალისტს, მათ შორის, ლაშა ბრეგვაძეს და მრავალჯერადი დარტყმებით მიაყენეს დაზიანება. დაზარალებული ბრეგვაძე მარტივად ამოსაცნობი იყო, რადგან „ტვ პირველის“ ჟურნალისტ გურამ მაისურამესთან ერთად აშუქებდა აქციას. უცხო თვალისთვის მათი ჟურნალისტური საქმიანობა (როგორც თავად ბრეგვაძე აღნიშნავს, მას მანქანიდანაც აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას) ხილვადი იყო. „ტვ პირველის“ ოპერატორმა ლაშა ბრეგვაძემ დაინახა, როგორ ჩაარტყეს გოგონას სახეში. მისი თქმით, „ფორმულას“ ფოტოგრაფ ვახტანგ ქარელზე და სხვა ფოტოგრაფებზეც ძალადობდნენ.⁴⁷ „ინტერპრესნიუსის“ ფოტორეპორტიორმა გიორგი ნიკოლიშვილმა, რომელიც ლაშა ბრეგვაძეს ახლდა, გონება დაკარგა. გიორგი ნიკოლიშვილი მიყენებული დაზიანების გამო სრულფასოვნად ვეღარ ასრულებს პროფესიულ საქმიანობას.

5 ივლისს ძალადობრივ ჯგუფებში ჟურნალისტებმა ს.ბ.-მ და ლ.ა.-მ „ნამახვან ჰესის“ საწინააღმდეგო აქციის მონაწილეები ამოიცივნეს.⁴⁸

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა ბ.ჩ.-მ ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, რომელიც პირთა იდენტიფიცირების მიზნით იგზავნება პოლიციის განყოფილებებში, ბრალდებულები მუხრან დადვანი და ნიკოლოზ გაბლიანი ამოიცინო. გამომძიებელმა იგივე პროგრამის მეშვეობით ამოიცინო გიორგი ნასყიდაშვილიც. გიორგი ნასყიდაშვილი ტვ „იმედის“ ოპერატორ შოთა კერვალიშვილზე ძალადობის ეპიზოდის ბრალდებულია.⁴⁹

⁴⁷ 2022 წლის 20 იანვრის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ვალერიან ბუგინიშვილი).

⁴⁸ 2022 წლის 17 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

⁴⁹ 2022 წლის 10 მარტის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი).

შსს-ს სხვა თანამშრომელმა ზ.ბ.-მ ბრალდებული ბაქარ მაისურაძე ამოიციწო. ბრალდებულ გულედანის იდენტიფიცირება ტანსაცმლით მოხდა. შსს-ს წარმომადგენელ ვ.გ.-ის და ი.დ-ის თქმით, ბრალდებულები გაბლიანი, დადვანი და წიგნაძე განსაკუთრებით სასტიკები იყვნენ. მათი თქმით, „ადგილზე პოლიცია რომ არ ყოფილიყო და ლევან ბრეგვაძეს არ გადაფარებოდა, ლეტალური შედეგი დადგებოდა.“⁵⁰

პატრულ-ინსპექტორი ზ.მ.-ს თქმით, ის შეესწრო დავით ქოჩიაშვილის მიერ ნინო ზაზაშვილის მიმართ ძალადობას, რაც ლგბტ დროშის გაშლას მოყვა. პროკურორის თქმით, მოძალადეებისთვის ზაზაშვილის გარეგნობაც შესამჩნევი იყო: მას ტატუები ჰქონდა და მოკლე შორტი ეცვა. პატრულ-ინსპექტორის დაკითხვის შემდეგ, პროკურორმა განაცხადა, რომ **თითოეული პირი განყოფილებაში რომ გადაეყვანათ, ადგილზე არცერთი პოლიციელი არ დარჩებოდა.**

დაზარალებულ მოწმეებს შორის იყვნენ ჟურნალისტები, რომლებსაც ბრალდებულების მიმართ პრეტენზია არ ჰქონიათ. „იმედის“ ჟურნალისტის შ.კ.-ის თქმით, მას მუცელში წიხლი და ჯოხი ჩაარტყეს და ჩაფიძის სახელობის გულის ცენტრში წავიდა. დაზარალებულმა **არ იცოდა, რა აქციაზე იმყოფებოდა. არავის ამოცნობა და აღწერა არ შეეძლო. ასევე, განაცხადა, რომ ბრალდებულების მიმართ პირადი პრეტენზია არ ჰქონდა.** გასვლისას, დაზარალებულს მადლობა გადაუხადა ბრალდებულმა გიორგი ნასყიდაშვილმა.⁵¹

ტვ. „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტი ბექა ათაბეგაშვილი უშანგი დათუნაშვილის მიერ განხორციელებული ძალადობის ეპიზოდის დაზარალებულია. ჟურნალისტის თქმით, მასთან ასაკოვანი კაცი მივიდა და ჯოხი ჯერ კამერას ჩაარტყა, შემდეგ კი მას. ათაბეგაშვილს ჯოხი თავში მოხვდა და ჩაიკვცა. დაზიანდა კამერაც. უშანგი დათუნაშვილი პოლიციის თანამშრომელმა კენჭაძემ ამოიციწო „ორიენტირებით“. ბრალდებული ასევე ამოიციწო შსს-ს თანამშრომელმა ლ.ბ.-მაც.

დაზარალებულმა ბექა ათაბეგაშვილმა განაცხადა, რომ ბრალდებულის მიმართ პრეტენზია არ აქვს.⁵² ამ ჩვენებას დაცვის მხარე აღკვეთის ღონისძიების შეცვლის დროს დაეყრდნო, რომელიც საბოლოოდ დაკმაყოფილდა. უშანგი დათუნაშვილს განესაზღვრა 3 000 ლარიანი გირაოს გადახდის ვალდებულება.⁵³

„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტმა თორნიკე მანდარიამ ბრალდებული გიორგი კახიანი დარბაზშიც ამოიციწო.⁵⁴ აღსანიშნავია, რომ გასაჯაროებულ ვიდეოზე თორნიკე მანდარიანზე ძალადობის ფაქტი ნათლად იყო ასახული. დაზარალებულ თორნიკე მანდარიანზე თავდასხმის შემდეგ, მორიგი მსხვერპლი „რადიო თავისუფლების“ ოპერატორი დავით ქორიძე აღმოჩნდა. მანაც ასევე ამოიციწო ბრალდებული გიორგი კახიანი. შსს-ს წარმომადგენელმა კ.წ.-მ ამოიციწო

⁵⁰ 2022 წლის 29 მარტის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილი).
⁵¹ 2022 წლის 25 იანვრის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი).
⁵² 2022 წლის 8 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი).
⁵³ 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების საქმეებზე უშანგი დათუნაშვილი ყველაზე ასაკოვანი ბრალდებულია.
⁵⁴ 2022 წლის 8 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი).

ბრალდებული რომეო კეკუტია, რომელიც რატი წვერავაზე ძალადობის ეპიზოდში ფიგურირებდა.

„ფორმულას“ ჟურნალისტმა გიორგი გაბუნია ფეხის, ხელის და თავის არეში მიიღო დაზიანებები. გიორგი გაბუნია „პირველი არხის“ ოპერატორის ილია თვალთვალის და სხვა ოპერატორების ცემის ფაქტს შეესწრო. ილია თვალთვალის სასტიკი ცემის ფაქტს ასევე შეესწრო დაზარალებული შოთა სიკინჭელაშვილი. ის ასევე იყო მოპედით შეტაკების ეპიზოდის თვითმხილველი. ამის შემდეგ შოთა თავად გახდა თავდასხმის ობიექტი.⁵⁵

შს-ს თანამშრომელი ი.დ. აცხადებს, რომ დედაენის პარკთან ილია თვალთვალის უმოწყალოდ ცემის ფაქტის თვითმხილველი იყო. მან ამოიციო თედო ბურდული⁵⁶. ილია თვალთვალის განცხადებით, როდესაც ის შორ კადრებს იღებდა, ადამიანების ჯგუფმა შეათრია, ძირს დააგდო და 10-15-მდე პირი ურტყამდა. ის დღემდე მკურნალობს. ილია თვალთვალმა ვერ შეძლო შრომისუნარიანობის სრულად აღდგენა, რადგან მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მუშაობა უჭირს.

ბრალდების მხარემ საგამომიებო მოქმედებებში მონაწილე შს-ს წარმომადგენლები სასამართლოს წინაშე დაკითხა. შს-ს წარმომადგენლები დაიკითხნენ ასევე კონკრეტული ბრალდებულების ამოცნობის მიზნით.

გიორგი ნასყიდაშვილის ვინაობასა და მის მიერ განხორციელებულ ძალადობას ადასტურებდა სამი ადამიანი - პოლიციის თანამშრომელი გ.ფ. და დაზარალებულები: შოთა კერვალიშვილი და დიმიტრი ყირიმლიშვილი.

„ტაბულას“ ჟურნალისტმა დაზარალებულმა მაკა ჯაბუამ ამოცნობის საგამომიებო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა და ფოტოსურათით ამოიციო ბრალდებული ზაზა მჭედლიძე, რომელმაც ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი დროშის ტარი კეფის და ზურგის არეში დაარტყა.

რადიო თავისუფლების ჟურნალისტებს თორნიკე მანდარიას და დავით ქორიძეს ფილმის გადაღებისას დაესხნენ თავს. თორნიკე მანდარიას ფიზიკური დაზიანება მიაყენეს. დაზარალებული აღნიშნავს, რომ იქვე იყვნენ ჯვრის გამოსახულებიან მაისურებში ჩაცმული პირები. თორნიკე მანდარიას მიმართ ძალადობა დასტურდება ვიდეომტკიცებულებითაც. ბრალდებული გიორგი კახიანი პოლიციის თანამშრომელმა მ.ს.-მაც ამოიციო.

ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტ რატი წვერავას 30-მდე ადამიანი ურტყამდა, მათ შორის, რომეო კეკუტიაც. მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანია „კავკასიის“ მიერ გავრცელებულ ვიდეო კადრებში კარგად ჩანს რომეო კეკუტიას მიერ ჩადენილი ქმედება, იგი

⁵⁵ 2022 წლის 18 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი).

⁵⁶ 2022 წლის 17 მარტის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ვალერიან ბუგაიანიშვილი).

დანაშაულს არ აღიარებს. რომეო კეკუტია „ორიენტირებით“ ამოიციო პოლიციის თანამშრომელმა კ.წ.-მ.

სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას იყო შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარე მოწმეებს ისეთ კითხვებს უსვამდა, რისი შეფასება და პასუხის გაცემა ექსპერტულ ცოდნას მოითხოვს.

3.2. ექსპერტიზა და ვიდეომთკიცებულება

სასამართლო მონიტორინგის დროს მხარეებმა მოწმის სახით სხვადასხვა მიმართულების ექსპერტები დაკითხეს.

ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტმა ე.ჩ.-მ 2021 წლის 11 ივლისს ჩატარებულ ექსპერტიზაზე ისაუბრა. ექსპერტიზა ეხებოდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (ნიუ ჰოსპიტალის კლინიკის ბარათი, სასწრაფო დახმარების ბარათი) ელექტრონული ვერსიების შემაჯამებელ დასკვნას ლექსო ლაშქარავასთვის მიყენებული დაზიანებების შესახებ.

სასამართლო სხდომაზე ასევე დაიკითხა ნიუ ჰოსპიტალის მთავარი ოფთალმოლოგი თ.ც. მოწმის ჩვენების მიხედვით, ლაშქარავას კანქვეშა ჰემატომა, რქოვანას დიფუზია, პრობლემატური ანამნეზი და სხვ. მულტიფუნქციური დაზიანებები ჰქონდა, მხედველობა კი 5%-მდე ჰქონდა დაქვეითებული.

ბრალდებულ ცოტნე ჩიხლაძის ფსიქიკური მდგომარეობა ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტ-ფსიქიატრმა ქ.შ.-მ აღწერა. მოსამართლე არსენ კალატოზიშვილის 2022 წლის 16 თებერვლის განჩინებით, მიუხედავად ბრალდებულის მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენისა, ცოტნე ჩიხლაძეს ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, რაც მოწმე ექსპერტ-ფსიქიატრმა სასამართლო სხდომაზე დაადასტურა.⁵⁷

სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ალტერნატივას“ ექსპერტის მ.კ.-ის თქმით, ბრალდებულ ილია ქებაძის მიერ დროშის ტარის დარტყმის კადრი „მთავარის“ 21:00 საათიან სიუჟეტში არ ჩანდა. ბრალდების მხარემ დაცვის მხარის ექსპერტის პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია ეჭვქვეშ დააყენა, განსაკუთრებით კი მის მიერ რუსული ლიტერატურისა და წყაროების გამოყენების გამო.⁵⁸ ვიდეო და აუდიო ექსპერტიზის დასკვნა პროკურორმა არ მიიჩნია კვალიფიციურ დასკვნად.

„თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრის ეპიზოდში საგამომიებო მოქმედებებში მონაწილე გამომძიებელმა ე.კ.-მ განაცხადა, რომ ოფისში არსებული სიტუაციის გამო (ერთ-ერთი მოწმის

⁵⁷ 2022 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ელიეშვილი).

⁵⁸ 2022 წლის 18 მარტის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი).

განცხადებით, „ყველაფერი ერთმანეთში იყო აზელილი“) ექსპერტებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ ნიმუშების აღება ვერ მოხერხდა.⁵⁹

ვიდეომტკიცებულებები მოიცავდა ძირითადად დანაშაულის ჩადენის ადგილების მიმდებარედ გარე ფასადებზე არსებული ვიდეოკამერებიდან ამოღებულ და მედია ორგანიზაციების მიერ საჯაროდ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებს.

მოწმეების დაკითხვის შემდეგ, სასამართლო დარბაზში 40-მდე ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევა დაიწყო.⁶⁰

მხარეებმა სხვა ვიდეომტკიცებულებებთან ერთად გამოიკვლიეს ონლაინ მედია პლატფორმის „პუბლიკას“ ვიდეო სიუჟეტი 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების ორგანიზების თემატიკაზე. ტელეკომპანია „მთავარის“ ვიდეო მასალაში ძირითადად, ილია თვალთვალის მიმართ განხორციელებული ძალადობის კადრები იყო ასახული. ტელეკომპანია „ფორმულადან“ გამოთხოვილი ინფორმაცია რატი წვერავას წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას ასახავდა. ვიდეოჩანაწერის მიხედვით, ჟურნალისტზე 30-მდე ადამიანი ძალადობდა, თუმცა ბრალდების მხარემ ბრალი მხოლოდ ერთ პირს წაუყენა.

ალიკა ალაზოვის, გიორგი ელიზბარაშვილისა და გიორგი ოძელაშვილის იდენტიფიცირება ძირითადად საჯაროდ გავრცელებული ვიდეოკადრებიდან მოხდა, რომელშიც მათ გარდა სხვა პირებიც ფიგურირებდნენ.

4 5 ივლისის საქმეების სასამართლო განაჩენები

5 ივლისის საქმეებზე სასამართლოს მიდგომა ძალადობის მოტივისა და შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებებისადმი არაერთგვაროვანი იყო.

ტელეკომპანიების „ფორმულას“, „ტვ პირველის“ და „მთავარის“ ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე ძალადობის ეპიზოდებში, რომელშიც შვიდი ბრალდებული იყო, მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება (ბრალდებულის ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა) მხოლოდ უმანგი დათუნაშვილის მიმართ გაითვალისწინა. დათუნაშვილს მისი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით შეუმსუბუქდა დანიშნული სასჯელი და სასჯელის ზომად 7 000-ის ნაცვლად, 5 000 ლარი განესაზღვრა. დანარჩენ ბრალდებულებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ საქმის განხილვის პროცესში მათი ეთიკური ქცევისა და ჩადენილი ქმედებების საზოგადოებრივი საშიშროებისა და ხასიათის, ქმედების განხორციელების სახისა და ხერხის საფუძველზე. თუმცა, განაჩენიდან არ იკითხება, მოსამართლე ჩახნაშვილმა ეს მოცემულობები შემამ-

⁵⁹ 2022 წლის 20 მაისის სასამართლო სხდომა (მოსამართლე დავით მგელიაშვილი).

⁶⁰ 2022 წლის 15 მარტის სასამართლო სხდომა (მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილი).

სუბუქებელ გარემოებად მიიჩნია თუ დამამძიმებელად. მოსამართლეს არცერთი ბრალდებულის მიმართ არ დაუდგენია დანიშნული სასჯელის მაქსიმალური ვადა (2 ან/და 3 წელი).

მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანმა შემამსუბუქებელ გარემოებებად მიიჩნია ზაზა ჭავჭავაძე და მურად დევლარიშვილის მიერ დანაშაულის ნაწილობრივ აღიარება.

მოსამართლე დავით მგელიაშვილს „თბილისის პრაიდის“ ოფისში შეჭრის ეპიზოდში განაჩენის გამოცხადებისას სიძულვილის მოტივი სხდომათა დარბაზში არ გაუქდერებია.

მხოლოდ მოსამართლე ნინო ელიეშვილმა მიუთითა სსკ-ის 53¹ მუხლზე ყველა ბრალდებულის მიმართ, რომელიც დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს რასობრივ, რელიგიურ, ეროვნულ, ეთნიკურ, ჰომოფობიურ თუ ტრანსფობიურ შეუწყნარებლობას.

მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილს 9 აპრილის პარკში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ძალადობის ეპიზოდის ნაწილში ბრალდებულების თორნიკე გაბლიანის, ბაქარ მაისურაძის, მუხრან დადვანის, ნიკოლოზ გულედანის, ვანო ბურდულისა და ირაკლი წიგნაძისთვის არც დამამძიმებელი და არც შემამსუბუქებელი გარემოება არ დაუდგენია და შესაბამისად, არც გაუთვალისწინებია. მან სიძულვილის მოტივის არსებობას მხოლოდ ერთი ბრალდებულის დავით ქოჩიაშვილთან მიმართ გაუსვა ხაზი.

გასათვალისწინებელია, რომ არცერთ მოსამართლეს სასჯელის დანიშვნისას სასჯელის მაქსიმალური ზომა არ გამოუყენებია. მეტიც, დანიშნული სასჯელების უმრავლესობაში სასჯელი 1 წელიწადს და 6 თვეს არ აღემატებოდა.

ქვემოთ მოცემულია თითოეული ბრალდებულის მიმართ დადგენილი დანაშაულის კვალიფიკაცია და გამოყენებული სასჯელის ზომა, რომელიც ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მხარეებს თბილისის სააპელაციო სასამართლოში აქვთ გასაჩივრებული.

ლექსო ლაშქარავას და მირანდა ბაღათურიას ეპიზოდი

„ტვ პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა 11 ივლისს გარდაიცვალა. ის 5 ივლისს, „სირცხვილიას“ ოფისთან პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების მხრიდან მძიმე ფიზიკური დაზიანებების მსხვერპლი გახდა. თავდასხმის შემდეგ ლექსო ლაშქარავას ჩამსხვრეული ჰქონდა სახის ძვლები, რის გამოც ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა. 5 ივლისს ლექსო ლაშქარავას და მირანდა ბაღათურიას მიმართ ძალადობის საქმის განხილვაში მსჯავრდებული იყო 6 პირი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ელიეშვილმა აკაკი ნაკაშიძე, თორნიკე დავლაშერიძე, ცოტნე ჩიხლაძე, დავით კუტალაძე, გია გიგუაშვილი და ოთარ გელაშვილი დამნაშავეებად ცნო **ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობაში**, ასევე, დევნასა (ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლაში, რაც ჩადენილი იყო ძალადობის მუქარით.

რაც შეეხება ლექსო ლაშქარავასა და მირანდა ბალათურას ეპიზოდში ჯანმრთელობის დაზიანებაზე წარდგენილ ბრალს, აკაკი ნაკაშიძე, თორნიკე დავლაშერიძე, დავით კუტალაძე, გია გიგუაშვილი და ოთარ გელაშვილი დამნაშავედ იქნენ ცნობილნი დამამძიმებელ გარემოებებში ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში. ამისთვის მათ სასჯელის სახით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

ცოტნე ჩიხლაძის თავდაპირველი ბრალი - დამამძიმებელ გარემოებებში (მსხვერპლის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ჯგუფურად) ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება გადაკვალიფიცირდა ძალადობად, რადგან ბრალდების მხარეს დაზარალებული ილია თვალთვალის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოსთვის არ წარუდგენია. თავდაპირველად წარდგენილი ბრალის დადგენის შემთხვევაში ცოტნე ჩიხლაძის მიმართ სასჯელი 7-დან 10 წლამდე განისაზღვრებოდა.

ილია თვალთვალის, ვახო ქარელის, ზურაბ ცერცვაძის და თამარ თათარაშვილის ეპიზოდი (ე.წ. მოპედის ეპიზოდი)

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კონსტანტინე კოპალიანმა ზაზა ჭაავა, მურად დევლარიშვილი, გენადი გერმანიშვილი, გიორგი ხეჩუაშვილი, თედო ბურდული, გიორგი წარუაშვილი და გიორგი მალრაძე დამნაშავეებად ცნო ჯგუფურად ჩადენილ ძალადობაში. მოსამართლემ ბრალდებულების მიმართ წარდგენილი ბრალი ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობიდან ძალადობის მუხლზე გადაკვალიფიცირა.

სასამართლომ ბრალდებულები დამნაშავედ ცნო დევნასა (ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლაში (ჩადენილი ძალადობის მუქარით). პროკურატურის მიერ საბრალდებო დასკვნაში გათვალისწინებული სიძულვილის მოტივი განაჩენის გამოცხადებისას არ გაჟღერებულა.

ზაზა ჭაავამ მისივე მოპედით დაზიანება მიაყენა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტს თამარ თათარაშვილს. ასევე, სცადა მოპედით დაჯახებოდა იქ მყოფ სხვა ჟურნალისტებსაც. ბრალდებული არაერთმა მოწმემ ამოიცნო. მას 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

გენადი გერმანიშვილმა, გიორგი ხეჩუაშვილთან და თედო ბურდულთან ერთად „ფორმულას“ ფოტოგრაფ ვახო ქარელს მიაყენეს ჯგუფური ფიზიკური დაზიანება. მათ ზევით მითითებულ მუხლებთან ერთად დაუდგინდათ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება. სამივეს - გერმანიშვილს, ხეჩუაშვილსა და ბურდულს - სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

მურად დევლარიშვილს, რომელმაც „ნიუპოსტის“ ფოტოგრაფ ზურაბ ცერცვაძეზე იძალადა, სასჯელის სახით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ცოტნე ჩიხლაძე, გიორგი წარუაშვილი და გიორგი მალრაძე თავს დაესხნენ „პირველი არხის“ ოპერატორს ილია თვალთაშვილს. სამწუხაროდ, ბრალდების მხარეს ილია თვალთაშვილის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოსთვის არ წარუდგენია, რამაც თავდასხმაში მონაწილე სამივე ბრალდებულისთვის მძიმე დანაშაულის უფრო მსუბუქ დანაშაულად გადაკვალიფიცირება გამოიწვია. გიორგი წარუაშვილს და გიორგი მალრაძეს სასჯელად თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 3 თვით, ხოლო ცოტნე ჩიხლაძეს „ლექსო ლაშქარავას და მირანდა ბაღათურიას ეპიზოდთან“ ერთად 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ.

რატი წვერავას, თორნიკე მანდარიას, დეა მამისეიშვილის, დათუნა ახალაძის, დავით ჭორიძის და სხვა დაზარალებულთა ეპიზოდები

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა რომეო კეკუტია, გიორგი კახიანი, გიორგი ნასყიდაშვილი, ილია ქებაძე, თემურ ხარაული და უმანგი დათუნაშვილი დამნაშავეებად ცნო ჯგუფურად ჩადენილ ძალადობაში. მოსამართლემ ბრალდებულების მიმართ წარდგენილი ბრალი ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის შესახებ ძალადობის მუხლზე გადაკვალიფიცირა, რაც მაქსიმალური სასჯელის სახით 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლომ ბრალდებულები ასევე დამნაშავეებად ცნო დევნასა (ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლაში (ჩადენილი ძალადობის მუქარით).

რომეო კეკუტიას ეპიზოდი მოიცავს „ფორმულას“ ჟურნალისტის რატი წვერავას მიმართ განხორციელებულ ძალადობას. რომეო კეკუტიას გარდა, წვერავაზე დაახლოებით 30-მდე დაუდგენელმა პირმა იძალადა, თუმცა წვერავას მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე მსჯავრი მხოლოდ რომეო კეკუტიას დაედო.⁶¹

გიორგი კახიანმა რადიო თავისუფლების ჟურნალისტებს თორნიკე მანდარიასა და დავით ჭორიძეს ფიზიკური დაზიანება მიაყენა. გიორგი ნასყიდაშვილის ეპიზოდი მოიცავს „იმედის“ ჟურნალისტის დიტო ყირიმლიშვილისა და ოპერატორ შოთა კერვალიშვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობას. გიორგი ნასყიდაშვილი სასამართლო სხდომებზე განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა.

ილია ქებაძის ეპიზოდი მოიცავს „მთავარი არხის“ ჟურნალისტის დათუნა ახალაძის მიმართ განხორციელებულ ძალადობას. დათუნა ახალაძისა და დეა მამისეიშვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ასევე მონაწილეობდა თემურ ხარაული. უმანგი დათუნაშვილი საქმეში ერთადერთი ბრალდებული იყო, რომლის მიმართ საქმის განხილვის ეტაპზე, საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება გირაოთი შეიცვალა. სასამართლომ მას სასჯელის სახით 5

⁶¹ წყარო ეფუძნება სასამართლო სხდომაზე პროკურატურისა და დაკითხულ მოწმეთა გაჟღერებულ პოზიციებს.

000 ლარი განუსაზღვრა. დათუნაშვილის ეპიზოდი „რუსთავი 2-ის“ ოპერატორ ბექა ათაბეგაშვილზე ძალადობას მოიცავს. ზაზა მჭედლიძემ „ტაბულას“ ჟურნალისტ მაკა ჯაბუასა და „იმედის“ ოპერატორ შოთა კერვალიშვილს მიაყენა ფიზიკური დაზიანებები.

გიორგი ნასყიდაშვილს, გიორგი კახიანს, რომეო კეკუტიას, ზაზა მჭედლიძეს შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვის ვადით. ორ მსჯავრდებულს ილია ქებაძესა და თემურ ხარაულს განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 2 თვის ვადით.

ლაშა ბრეგვაძის და ნინო ზაზაშვილის ეპიზოდი

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ვალერიან ბუგიანიშვილმა ბრალდებულების - ირაკლი წიგნაძის, ბაქარ მაისურაძის, მუხრან დადვანის, თორნიკე გაბლიანის, დავით ქოჩიაშვილისა და ვანო ბურდულის მიმართ წარდგენილი ბრალი ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის შესახებ ძალადობის მუხლზე გადააკვალიფიცირა, რაც მაქსიმალური სასჯელის სახით 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლომ ბრალდებულები ასევე დამნაშავედ ცნო დევნასა (ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლაში (ჩადენილი ძალადობის მუქარით).

ბრალდების მხარის მიერ საბრალდებო დასკვნაში გათვალისწინებული სიძულვილის მოტივი განაჩენის გამოცხადებისას არ გაუღერებულა.

ბრალდებულები „ტვ პირველის“ ოპერატორის ლაშა ბრეგვაძის და ნინო ზაზაშვილის ფიზიკურ დაზიანებაში იღებდნენ მონაწილეობას. ყველა ბრალდებულს, გარდა ვანო ბურდულისა, მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. ვანო ბურდულს, დანაშაულის რეციდივის გათვალისწინებით, სასჯელის სახით 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

„თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრის ეპიზოდი

ჰომოფობიური, ძალადობრივი ჯგუფების წარმომადგენლები 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ ოფისში აივნებიდან შეიჭრნენ. საქმეს მხოლოდ 3 ბრალდებული ჰყავდა, თუმცა შეჭრის კადრებში მინიმუმ 10 ადამიანი ფიგურირებდა. მოძალადეთა შეჭრის დროს ოფისში არავინ იყო.

ბრალდებულებს ალიკა ალაზოვს, გიორგი ელიზბარაშვილს და გიორგი ოძელაშვილს მოსამართლე დავით მგელიაშვილმა 5 000-5 000 ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

მოსამართლე დავით მგელიაშვილმა ბრალდებულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებიდან მხოლოდ ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად ძალადობის მუქარით დარღვევაში ცნო დამნაშავეებად.

მოსამართლემ გამოიცილა დანაშაულის ჩადენის მოტივი/მიზანი. განაჩენის გამოცხადებისას არ გაჟღერებულა 53¹ მუხლი, რომელიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენისას დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ ამავე მოსამართლემ 2021 წლის 22 დეკემბერს მსჯავრდებულები 5 000-5 000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

დასკვნა/ძირითადი მიზნები

სასამართლო მონიტორინგისას კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ 5 ივლისის ძალადობა წინასწარ იყო ორგანიზებული. ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორების არსებობას როგორც სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეები, ისე სხდომაზე გამოკვლეული ვიდეო მტკიცებულებებიც ადასტურებს. ამასთან, როგორც საჯაროდ გავრცელებული, ისე საგამოძიებო ორგანოების მიერ მოპოვებული ვიდეო ჩანაწერები ცხადყოფს, რომ 5 ივლისის საქმეებში მსჯავრდებულების რაოდენობაზე ბევრად მეტი მოძალადე ფიგურირებდა. სამართალდამცავი სტრუქტურების უმოქმედობის გამო, მასობრივ ძალადობაში მონაწილე არაერთი პირი პასუხისმგებლობის გარეშე დარჩა, ვინაიდან სახელმწიფო ბრალდების მხარემ მათი იდენტიფიცირება, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ბრალის წაყენება და მტკიცებულებების მოპოვება არ უზრუნველყო.

პროკურატურის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენლობამ სასამართლოს შესაძლებლობა მისცა ბრალდებულების მიმართ წაყენებული ბრალი მძიმე მუხლებიდან მსუბუქ მუხლებზე გადაეკვალიფიცირებინა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, ბრალდებულების ნაწილისთვის განსაზღვრული სასჯელი ჩადენილი ქმედებების არაპროპორციულია, რამაც შესაძლოა მომავალში წახალისოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები.

სასამართლო

მოსამართლეებმა ბრალდებულებს არაპროპორციული სასჯელი განუსაზღვრეს, რამაც შეიძლება მომავალში წახალისოს მსგავსი დანაშაულების ჩადენა.

მოსამართლეები სასამართლო სხდომებზე სათანადო ყურადღებით ჩართულები არ იყვნენ.

სასამართლომ არ უზრუნველყო საჯაროობისა და სხდომებზე ყველა დაინტერესებული პირისთვის დასწრების გონივრული შესაძლებლობა.

პროცესის მონაწილის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენებისას, სასამართლოს ხშირ შემთხვევაში არ ჰქონდა შესაბამისი რეაგირება.

მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში არ იღებდნენ შესაბამის ზომებს, რომ დაზარალებულების, ექსპერტებისა და მოწმეების დაკითხვისას სხდომათა დარბაზში მტრული და დამაბული გარემო არ შექმნილიყო.

ხუთიდან ოთხმა მოსამართლემ მიიღო სავარაუდოდ ერთმანეთთან შეთანხმებული განაჩენი.

საქართველოს პროკურატურა

არაერთი მტკიცებულების არსებობის მიუხედავად, საქართველოს პროკურატურას 5 ივლისის მასობრივი ძალადობის ორგანიზატორებისთვის ბრალი არ წაუყენებია.

ძალადობაში მონაწილე არაერთი პირი პასუხისმგებლობის გარეშე დარჩა. საგამოძიებო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების წარმოება მაშინ, როდესაც მედია ორგანიზაციების მიერ საჯაროდ გავრცელებული ათობით ვიდეო ჩანაწერი ბევრად მეტი თავდამსხმელის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლეოდა. პროკურორების ყურადღების მიღმა დარჩა სასამართლო დარბაზში მოწმე/დაზარალებულების მხრიდან გაჟღერებული სავარაუდო დამნაშავეთა ვინაობაც. სახელმწიფო ბრალდებათა სათანადოდ ვერ შეძლო მტკიცებულებების მოპოვებისა და ბრალის წაყენების უზრუნველყოფა.

პროცესის მონაწილის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენებისას, ბრალდების მხარეს ხშირ შემთხვევაში არ ჰქონია შესაბამისი რეაგირება.

ბრალდების მხარე ხშირ შემთხვევაში არ იღებდა შესაბამის ზომებს, იმისათვის რომ დაზარალებულების, ექსპერტებისა და მოწმეების დაკითხვისას სხდომათა დარბაზში მტრული და დამაბული გარემო არ შექმნილიყო.

პროკურორები დიდწილად არ განარიდებდნენ კითხვებს, რომლებიც განსახილველ საქმეებთან კავშირში არ იყო.

ბრალდების მხარეს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას მეტი მტკიცებულების მოპოვება შეეძლო. მაგალითად, ილია თვალთვალილის სამედიცინო ექსპერტიზის წარმოდგენლობამ განაპირობა მოძალადისთვის ნაკლებად მძიმე სასჯელის შეფარდება.

ადვოკატები

განსახილველ საქმეებზე ბრალდებულების ადვოკატებს არ გამოუჩენიათ ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის უფლების დაცვის საკითხებში კვალიფიციური ცოდნა.

სასამართლო პროცესებზე ადვოკატები ღიად გამოხატავდნენ ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ განწყობებს.